

მომსახურების აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნიშანს „DIZAYN GROUP“ უარი უნდა ეთქვას დაცვაზე განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის კომპანიის წარმომადგენელი ნიკოლოზ გოგილიძე აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალისათვის, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი აღნიშვნა გარდა სიტყვიერი ელემენტებისა, შეიცავს გამოსახულებით ნაწილსაც, კერძოდ, აღნიშვნა მოთავსებულია მართკუთხედის ფორმის ფიგურაში, სიტყვიერი აღნიშვნის მეორე სიტყვა მოთავსებულია მართკუთხედში მოცემული წითელი ზოლის გასწვრივ და რაც მთავარია, სიტყვიერი აღნიშვნის პირველი ელემენტი თავად წარმოადგენს სტილიზებული სახის გამოსახულებას, რომელშიც ლათინური ასოს „Z“ მომდევნო ელემენტი წარმოადგენს არა ასოს „A“, არამედ მახვილი კუთხის გამოსახულებას, რომელიც ისეა განლაგებული, რომ ქმნის ასოს „A“ შთაბეჭდილებას, რის გამოც მთლიანი აღნიშვნა მხოლოდ გარკვეული დაშვებით შეიძლება განიხილოს როგორც სიტყვა „დიზაინი“.

აპელანტი ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც განცხადებული ნიშანი მიხნეულ იქნა არაგანმასხვავებელუნარიანად: „Plastic pipes, flexible pipes not of metal“. კომბინირებული ნიშანი „DIZAYN“ ფანტაზიურია წარმოდგენილი საქონლისათვის, ვინაიდან არანაირად არ უკავშირდება დიზაინის ჯგუფის საქმიანობას, რომ აღარაფერი ეთქვათ ნიშნის გამოსახულებით ელემენტებზე.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ აპელანტი კომპანია „DIZAYN TEKNİK PLASTİK BORU VE ELEMANLARI SANAYİ VE TİCARET ANONİM SİRKETİ“ წარმატებულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, რის დასტურსაც წარმოადგენს საქართველოში საქონლის შემოტანასთან დაკავშირებულ ინვოისებს.

ასევე აპელანტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი დაცულია მრავალ ქვეყანაში, რის დასტურადაც მან წარმოადგინა ამ ქვეყნებში ნიშნის რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტები და ამონაწერი საერთაშორისო რეესტრიდან.

აპელანტს მიაჩნია, რომ მოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის №1428/03 ბრძანება.

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „DiZAYN GROUP“ არ უნდა იქნეს მიჩნეული არაგანმასხვავებელუნარიან ნიშნად განცხადებული საქონლის ჩამონათვის მიმართ. სასაქონლო ნიშნის „DiZAYN GROUP“ დაცვა მოითხოვება „პლასტმასის მიღებისა და ელასტიური მიღებისათვის“ საქონლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „DiZAYN“ შესაძლებელია ზოგად აღნიშნად მივიჩნიოთ, კოლეგია თვლის, რომ განცხადებული საქონლის ჩამონათვის მიმართ ნიშანი მიჩნეულ უნდა იქნეს ფანტაზიურ ნიშნად. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „DiZAYN“ გამოითქმის ისევე, როგორც სიტყვა „design“, განცხადებულ ნიშანში სიტყვას „DiZAYN“ ქართველი მომხმარებელი აღიქვამს როგორც სტილიზებულად შესრულებულ სიტყვას და შესაბამისად განცხადებულ ნიშანს მთლიანობაში როგორც ფანტაზიურ ნიშანს. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს ასევე ის ფაქტი, რომ ნიშანი სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებას – სიტყვიერი აღნიშვნა მოთავსებულია მართკუთხედის ფორმის ფიგურაში, სიტყვიერი აღნიშვნის მეორე სიტყვა მოთავსებულია მართკუთხედში მოცემული წითელი ზოლის გასწვრივ. სიტყვის „DiZAYN“ მეოთხე ასო „A“ არ არის სტანდარტული ლათინური ასო „A“, არამედ უფრო მეტად გავს მახვილი კუთხის გამოსახულებას. კოლეგიის აზრით, განცხადებული ნიშანი ფანტაზიური ნიშანია და შესაბამისად, მთლიანობაში განმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ. კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „DiZAYN

GROUP” უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიხნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის №1428/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „დიზაინ ტექნიკ პლასტიკ ბორუ ვე ელემენტარი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის №1428/03 ბრძანება.
3. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „DiZAYN GROUP” (IR806911) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭინაძე

თ. ჯაფარიძე

